სეზონური სკოლის – "სოციალური მუშაობის სერტიფიცირების პროგრამის მომზადება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში"
ლექტორების პროფესიული ბიოგრაფიები

მარკ დოელი არის შეფილდ–ჰალამის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ემერიტუს–პროფესორი სოციალურ მუშაობაში. 1974 წლიდან გააჩნია ჰალის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის კვალიფიკაციის სერტიფიკატი. 2003 -2010 წლებში ცენტრალური ინგლისის უნივერსიტეტში იყო სკოლის ხელმძღვანელი (ბირმინგემი; დიდი ბრიტანეთი); 1991 – 1996 წლებში ხელმძღვანელობდა პრაქტიკული სწავლების დეპარტამენტს შეფილდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი); 1980 – 1990 წლებში იყო ლექტორი სოციალურ მუშაობაში და ამავროულად ეკავა უფროსი სოციალური მუშაკის პოზიცია შეფილდის უნივერსიტეტში. მარკ დოელი არის ათეულობით საერთაშორისო კვლევითი პროექტების და პუბლიკაციების ავტორი. მას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება. აგრეთვე მიღებული აქვს სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის ჯილდო. მარკ დოელის პროფესიულ ბიოგრაფიას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: https://www.shu.ac.uk/about-us/our-people/staff-profiles/mark-doel

იაგო კაჭკაჭიშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოციოლოგიის დოქტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 2001 წელს საქართველოში პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოციოლოგიაში. კითხულობს კურსებს როგორც სოციალური თეორიების, ისე კვლევის მეთოდების სფეროში. აკადემიური საქმიანობის პარალელურად, აქტიურად არის ჩართული სოციალური კვლევების განხორციელებაში. არის არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია "სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის" (ISSA) ხელმძღვანელი. მონაწილეობა აქვს მიღებული ასზე მეტ მეტ კვლევით და აკადემიურ პროექტში, როგორც პროექტის დირექტორს და/ან ანალიტიკოსს. არის 6 წიგნის და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი/თანაავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე. იაგო კაჭკაჭიშვილი, როგორც ანალიტიკოსი, სოციალური შეფასების ექსპერტი და ტრენერი სოციალური კვლევის მეთოდებში თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ევროკავშირი, გაეროს ოგანიზაციები და სხვ.). ამავე დროს, იაგო კაჭკაჭიშვილი იყო რამდენიმე (მათ შორის, საერთაშორისო) სეზონური სკოლის ხელმძღვანელი და ლექტორი.

თამარ მახარაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; ჩართულია სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგიტრო პროგრამებში. ასევე, არის თსუ–ში შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი. 2014–2015 წლების განმავლობაში ასრულებდა თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობებს. თამარ მახარაძე ასწავლის შემდეგ კურებს: „ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში", „კვლევის მეთოდები სოციალურ მუშაობაში", "ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა" და თემეთან და ორგანიაციებთან მუშაობა. მას აქვს კვლევითი პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება. როგორც მკვლევარი, ხშირად არის მიწვეული სხვადასხვა პროექტის გარე შეფასების განსახორციელებად. ის იყო არაერთი კლვევითი პროექტის ხელმძღვანელი. მისი კვლევის შედეგები ქვეყნდება ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში. თამარ მახარაძე აქტიურად მუშაობს სტუდენტებისთვის საჭირო სახელმძღანელოების განვითარების მიმართულებით – 2019 წელს მან მოიპოვა თსუ–ს სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის გრანტი ახალი სახელმძღვანელოს „კვლევითი მეთოდები სოციალურ მუშაობაში" შესაქმნელად.

სალომე ნამიჭეიშვილს მოპოვებული აქვს სოციალური მუშაობის დოქტორის აკადემიური ხარისხი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (2016, საქართველო) და სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხის ნიო იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან (2003, ამერიკა). 2013-2015 წლებში, ასევე, სწავლობდა სადოქტორო საფეხურზე სეინტ პოლტენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (ავსტრია) და ვილნიუსის პედაგოგიურ უნივერსიტეტში (ლიტვა) სოციალური მუშაობის მიმართულებით. სალომეს აქვს სოციალური მუშაობის განვითარების საკითხებზე მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება. სატრენინგო-სასწავლო პროგრამები განუვითარებია, დაუგეგმავს და განუხორციელებია სახელმწიფო უწყების სოციალური მუშაკებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის. იგი 2008-2013 წლებში ხელმღვანელობდა სოციალურ მუშაკთა ასოციაციას და ამ წლებში აქტიურად თანამშრომლობდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთან, კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ეხმარებოდა მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტს სახელმწიფო სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელებაში, ასევე, სოციალური მუშაობის პრაქტიკის გუამჯობესებაში, რომელიც მოიცავდა პრაქტიკის ფორმების, გაიდლაინების შემუშავებას ბავშვთა დაცვის სფეროში. Aასევე, აქვს მჭიდრო თანამშრომლობის გამოცდილება ადამინით გაჭრობის (ტფიკინგის) მსვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან სოციალური მუშაობის მიდგომების დანერგვა-განვითარებაში გენდერული ნიშნით ძალადობის დასძლევად ამერიკის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. დღეს თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან, კერძოდ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში სოციალური მუშაობის ინსტიტუტის დანერგვა-განვითარების მიმართულებით ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში. 2010-2016 წლებში იყო სოცილაური მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის ევროპის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტი. 2005 წლიდან ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.